



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბესაძე კაპიტონ მელქისედეკის ძე



აბესაძე კაპიტონ.

აბესაძე კაპიტონ მელქისედეკის ძე (25. XI. 1900, სოფ. მუხურა, ახლანდ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, - 12. VII. 1987, ქუთაისი), მსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1974).

1920 დაამთავრა ქუთ. გიმნაზია. 1921-26 მონაწილეობდა ქუთ. რკინიგზის კლუბის დრამ. წრის სპექტაკლებში. 1928-იდან იყო ქუთ.-ბათუმის თეატრის მსახიობი (ახლანდ. თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. აკად. დრამ. თეატრი). სხვადასხვა წლებში იყო



აბესაძე კაპიტონ. ფილმი „მიქელა“. მღვდლის როლში. 1965.

თელავის, ქუთ., ხაშურის, თბილ. მუსიკალური კომედიისა და სხვა თეატრების, 1938-იდან სიცოცხლის ბოლომდე კი - ქუთ. ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის მსახიობი. ცნობილი იყო როგორც კომედიური როლების შემსრულებელი. გამოირჩეოდა თვითმყოფადობით, უშუალოდ და სინრფელით, დახვეწილი იუმორით. ა-ის რეპერტუარიდან აღსანიშნავია: მანუჩარი, ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, „ყვარყვარე თუთაბერი“), მოსე მწერალი (შ. დადიანი, „ნინოშვილის გურია“, ე. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით), კირკიტა (მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული“), ბესო (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), ბენ-აკიბა (კ. გუცკოვის „ურთელ აკოსტა“), შვანი (ბ. ლავრენიოვის „რღვევა“),

ხარიტონ აბზიანიძე (გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“) და სხვ. მონაწილეობს ფილმებში: „კარდაკარ“ (ბესარიონი, რეჟ. ო. აბესაძე, 1960), „მე ვხედავ მზეს“ (ზოსიმე, რეჟ. ლ. ლოლობერიძე, 1965), „ჩემი მეგობარი ნოდარი“ (აფრასიონი, რეჟ. დ. რონდელი, 1967), „მყუდრო სავანე“ (გედეონი, რეჟ. ლლონტი, 1971) და სხვ.

შ. ცუცქერიძე
